ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

KOMUNISTI — ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲙ ᲙᲞ ᲒᲠᲣᲖᲘᲐ, ᲕᲔᲠᲮᲝᲕᲜᲝᲡ ᲡᲝᲕᲔᲗᲘᲡ ᲒᲠᲣᲖᲘᲜᲣᲠᲘ ᲡᲡᲠ ᲓᲐ ᲡᲝᲕᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲒᲠᲣᲖᲘᲜᲣᲠᲘ ᲡᲡᲠ

□ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1978 წ. □ № 134 (17178) □ ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

1920 — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ — 1978

„ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲝᲥᲠᲝᲡ“ ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘ

ᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲗ ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲐᲝᲝᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲔᲠᲩᲘᲐᲘᲡ ᲐᲮᲛᲐᲗ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔᲡ. ᲘᲒᲘ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲣᲤᲚᲘᲡ ᲩᲐᲘ ᲑᲚᲝᲜᲢᲐᲪᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲣᲧᲝᲤᲘᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲣᲮᲕ ᲛᲝᲮᲐᲕᲐᲡᲚᲘ ᲘᲦᲔᲑᲓᲐ.

ᲐᲮᲛᲐᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲐ ᲬᲔᲚᲡ ᲛᲝᲙᲠᲘᲤᲝᲡ 4 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ. ᲒᲐᲚᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲑᲗᲐᲛᲐᲪ. ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲘᲰᲧᲘᲓᲘᲡ 1.100 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘ — ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲛᲔᲢᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ.

ᲐᲯᲐᲠᲔᲚᲘ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲑᲘ ᲛᲝᲮᲐᲕᲐᲚᲗ ᲬᲠᲤᲐᲒᲘ ᲢᲔᲛᲞᲘᲗ ᲘᲦᲔᲑᲔᲜ. ᲛᲐᲗ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲗ 6 ᲐᲗᲐᲡ ᲢᲝᲜᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის შესახებ

ქალთა შრომა და საწარმო

ეხლოდ წარწერა თუ მიგაწინშნებთ, რომ აქ საწარმოა და არა ქალაქის პარკი, ისე ლამაზად იმზირებიან ფერადი, ფურცელი ღობის იქიდან მწვანეში ჩაფულები ვარდ-ყვავილები. „კომუნისტური შრომის საწარმო, თბილისის ცხიმების კომბინატი" — გკითხულობთ შესასვლელში გაკეთებულ ფირნიშზე.

შესვენების ხაათი იყო, კომბინატში რომ მივედით. საამქროებიდან ეზოში გამოსულიყვნენ მუშები. ზოგი სამამულო ომში დაღუპულთა ძეგლთან შეკრებილიყო, ზოგი მებაღე ვახტანგ კობერიძეს შემოხვეოდა გარს, ახლად გაშენებულ დეკორატიულ კუთხეში ყვავილებს რომ დაატრიალებდა თავს.

მეორე სართულზე საწარმოს პარტიული ორგანიზაციის მდივანს გულნარა ვერულაშვილს შევხვდით. აქვე იყვნენ პროფკავშირის თავმჯდომარე ეფემია ქახნიაშვილი და კომკავშირის კომიტეტის მდივანი რუსუდან ხარაიშვილი.

ქალები, რომ საწარმოს საზოგადოებრივ მუშაობას ხელმძღვანელობენ, ეს გასაკვირი არც არის. ამ საწარმოს მეშა-მოსამსახურეთა 80 პროცენტს ხომ ქალები შეადგენენ.

როგორც ცნობილია, ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ახდა მშრომელი ქალის მრავალსაუკუნოვანი ოცნება თავისუფლებასა და თანასწორობაზე. ქალი — დედის, ქალი — მშრომელის, მოღვაწის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა, მამაკაცებთან მათი თანასწორობა განმტკიცებულია სახელმწიფოს ძირითად კანონებში — სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებში.

პარტიული კომიტეტის მდივანს გულნარა ვერულაშვილს ვთხოვდ გაგაცნოს, როგორ ზრუნავს საწარმოს ხელმძღვანელობა მუშა ქალთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, რა ღონისძიებები ხორციელდება, რომ ქალებმა წარმატებით იმუშაონ და ამავე დროს აღზარდონ საზოგადოებისათვის ღირსეული მომავალი თაობა.

— ჩვენი კომბინატი უკვე 1974 წლიდან კომუნისტური შრომის საწარმოა, — გვითხრა მან, — ეს ითელი გზით არ მოგვიპოვებია. მერვე წელია საწარმო იმსახურებს მთავრობის მაღალ ჯილდოებს. ჩვენმა კოლექტივმა კარგად დაიწყო 1978 წელი, ვადაზე ადრე შესასრულა ხუთი თვის სახელმწიფო დავალებები. კოლექტივმა ვალდებულება აიღო წლიური გეგმა კონსტიტუციის მიღების დღისათვის, 7 ოქტომბრისათვის შეასრულოს და გეგმის გადამეტებით მილიონ 400.000 მანეთის პროდუქცია გამოუშვას.

პირველი კვარტალის საუკეთესო შედეგებისა და სოციალისტური გალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის უკვე მეათედ მოვიპოვეთ სსრ კავშირის კავშირების მრეწველობის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირების გადამავალი წითელი დროშა.

ამ წარმატებებში დიდია ჩვენი ქალების წვლილი. ისინი ხომ საწარმოს უმრავლესობას შეადგენენ.

— ეს წარმატებები იმის შედეგია, განაგრძობს გ. ვერულაშვილი, — რომ ჩვენ ვიბრძვით შრომის მაღალი ორგანიზაციისათვის, ტექნოლოგიური პროცესის ზუსტი დაცვისათვის, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის. კერძოდ, კომბინატის ორი სახეობის პროდუქციას — მაინონეზ „გაზაფხულს" და „პროვანსალს" ხარისხის ნიშანი აქვს მინიჭებული. 20 სახეობის პროდუქცია პირველი კატეგორიისაა. ოცი მერვე წელია ჩვენს პროდუქციაზე რეკლამაცია არ მიგვიღია.

კომბინატმა შეძლო, რომ თავისი პროდუქცია — „სამარყანდი" და შოკოლადის წარმოებისათვის განკუთვნილი კულინარიული ცხიმი მსოფლიო ბაზარზე გაეტანა.

საწარმოს ტერიტორიას კეთილმოწყობენ. კომბინატის შრომითი დიდების მეზეიმში საწარმოს წარსულს, მისი ზრდის მაჩვენებელ სხვა მნიშვნელოვან მასალებთან ერთად საჩინო ადგილს გამოკრულია დიდ სამამულო ომში მებრძოლი კომბინატის მუშა ქალების პორტრეტები.

აქ ბევრი სასახელო ქალი მუშაობს, მათ შორის არიან ზეთის საამქროს მოწინავე მუშა, ლენინის ორდენოსანი ნინო კორსაკი. ის კარგი დედაა და საუკეთესო ამხანაგი. ასევე დიდი ავტორიტეტი აქვთ საწარმოს ტექნიკური განყოფილების უფროსს ლილი შომიაშვილს და მის მოადგილეს თამარ ბონდარენკოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, მარგარინის საამქროს მუშას ნორა ირმაგანოვას.

100 ქალი ატარებს 1977 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის საპატიო ნიშანს. მათ შორის არიან ო. კონიაშვილი, ი. ბოპოვა, ნ. ბერეტაშვილი, ნ. სამადაშვილი, ფ. პოზნიაკოვა, ჯ. გასპარიანი, ე. ლაზარიდი, თ. ჯაშიაშვილი, მ. პაპიაშვილი, ლ. მახათაძე და სხვები.

ეზოს თავში, ნახევარფაბრიკატებისა და ხილ-ბოსტნეულის მაღაზიასთან დიდი სატვირთო მანქანა იდგა. მაღაზიის თანამშრომლები ახლადმიღებულ პროდუქტებს ტვირთავდნენ. პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ავგიხსნა, რომ ეს მაღაზია კარგად ამარაგებს კომბინატის მუშებს. მოგეხსენებათ, რამდენ დროს კარგავს ქალი ქალაქში სურსათ-სანოვაგის შეძენაზე, აი აქ კი, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, შეუძლიათ შეიძინონ მათთვის საჭირო სანოვაგე.

აქვე ვნახეთ ქიმწმენდის პუნქტი. ესეც ხელს აძლევს ქალებს, დიდი შეღავათია მათთვის, რადგან დრო ეზოგება. მძიმე ფიზიკური შრომაც აღარ უხდებათ.

საწარმოში ცდილობენ მოწინავე ქალები ხელმძღვანელ სამუშაოზე დაანიშნონ.

ნუნუ ბერეტაშვილი ამ ოთხი წლის წინათ საამქროს მუშა იყო, ახლა კი ამავე საამქროს ცვლის უფროსია, მერი ვანიანი ათი წლის წინათ მარგარინის საამქროს მუშა იყო, ამჟამად მომარაგების განყოფილების ეკონომისტია, მუშები ლიდა მამარჯანოვა, მაია კურბატოვა, მარიამ მჭედლიშვილი, ლენა კოლტუნოვა ცვლის უფროსებად და ბრიგადირებად დაწინაურდნენ.

კომბინატის დირექტორი შოთა ქუტიძე დიდ მზრუნველობას იჩენს მუშა ქალთა შრომისა და ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ბარაკის ტიპის სბავშვო ბაღის შენობა ბავშვთა შესანიშნავ დაწესებულებად იქცა. იგი აქვე საწარმოს ტერიტორიაზეა გაშენებული. აქ 40-მდე ბავშვი იზრდება და მათი მომსახურება უფასოა. თვალს ახარებს მწვანეში ჩაფლული სბავშვო ბაღის კეთილმოწყობილი ეზო, მრავალი სათამაშო, ფერადი კენჭებით მოპირკეთებული ახალი საცურაო აუზი.

ყურადღებას იქცევს კეთილმოწყობილი სასადილო, აქ დადგმულია ახალი მოხერხებული ავეჯი, ტელევიზორი, და რაც მთავარია, კერძები მაღალხარისხოვანი და გემრიელია, რომლებსაც პირველი ცვლის მუშები უფასოდ იღებენ. არის დიეტური კუთხე, მუშების დასასვენებელი ოთახი. ეს მომსვლელებს კარგ გუნება-განწყობილებას უქმნის. სასადილოს კედელი საკუთარი წარმოების მარგარინით დამზადებული ნამცხვარი, ჩაი, კომბინატის მუშაქალებს უფასოდ ეძლევათ.

სამუშაოს სპეციფიკის გამო, ყველა ქალს არ შეუძლია სასადილოში და კაფეში მოსვლა. ამისათვის საამქროებთან გამოყოფილია კეთილმოწყობილი სასადილო ოთახები. სადაც მათ შეუძლიათ ისაუზმონ, ამავე დროს საამქროებთან ნახავთ ახალი ავეჯით გაწყობილ გასახდელებს, საშხაპეებს, დასასვენებელ ოთახებს.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პროფკავშირის კომიტეტთან არსებული ბავშვთა შორის მუშაობის კომისია. კომიტეტის სხდომაზე განიხილავენ კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა ბავშვების დისციპლინასა და აკადემიური წარმატების მდგომარეობას, კომბინატის ტერიტორიაზე ნახავთ საწარმოს თანამშრომლთა და საშეფო სკოლის ხუთოსანთ მოსწავლეთა ფოტოსტენდს.

ქალთა შორის მუშაობის კომისია თვალყურს ადევნებს რომ ქალს არ შეასრულებინონ მძიმე საქმე და დაიცვან ფეხმძიმეობისა და მშობიარობის გამო ქალებისათვის განკუთვნილი შეღავათები.

ფეხმძიმე და ჩვილბავშვიანი ქალები აქ მსუბუქ სამუშაოზე გადაჰყავთ. ღამის ცვლაში ქალები დამატებითს ხელფასს იღებენ. მუშა ქალებს, სპეციალური ტანსაცმელი, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, სამკურნალო დიეტური კვების პროდუქტებიც ეძლევათ. ყოველ კვარტალში ერთხელ ხდება ქალთა საექიმო სამედიცინო შემოწმება. ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის კომბინატის ქალთა კომიტეტს სათავეში უდგას კომბინატის ძველი მუშაკი სვეტლანა ოგნატიევა.

ლ. ხუგულური.

დამთავრდა ხამუშაო საათები. თბილისის ცხიმების კომბინატის ხაბავშვო ბაღიდან თავიანთი პატარების შინ წასაყვანად მოვიდნენ ამავე კომბინატის ტექნიკოს-კონტროლიორი ს. ჭანტურია (ხურათზე მარცხნიდან), მიდროწარმოების მოწინავე მეპარატე მ. ცანკაშვილი და ინჟინერი ზ. ურგებაძე.

ს. კილაძის ფოტო.

საბინაო მშენებლობაზე — ყოველდღიური ყურადღება

დროულად, მკვიდრად!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა-ვალდებულებანი. თათბირში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პასუხისმგებელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, ტრესტების, სამმართველოების, საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების, ამერკაკასიის რკინიგზის ხელმძღვანელები.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ი. ქედიშვილმა, მოისმინეს ინფორმაციები რესპუბლიკის მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის მინისტრების პირველი მოადგილეების ვ. ი. მახჯანაძისა, დ. ი. სიხარულიძისა, მშენებლობის მინისტრის მოადგილის, გიორგი ანება „თბილისკალაქმშენის" უფროსის ო. ვ. კიკნაძისა, № 1 სახლსაშენებელი კომბინატის დირექტორის ვ. ვ. ხომერიკისა, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის უფროსის კ. ი. დახუნდარიძისა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსის ბ. ა. ზატუაშვილისა და სხვ.

თათბირზე აღინიშნა, რომ თუმცა ამ ბოლო დროს რესპუბლიკაში რამდენადმე გაიზარდა საბინაო მშენებლობის მოცულობა, გაუმჯობესდა საექსპლოატაციოდ გადაცემული სახლების ხარისხი. მაგრამ ამ წინაშენელოვან საქმეში მაინც არ არის აღმოფხვრილი სერიოზული ნაკლოვანებანი. მთლიანად რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობაში კაპიტალური დაბანდების ოთხი თვის გეგმა შესრულდა 86 პროცენტით, მთლიანად არ არის ათვისებული 7 მილიონ 242 ათასი მანეთი. ამ პერიოდში ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემა ნახევარი წლის გეგმის 37 პროცენტს შეადგენს.

თათბირზე მკაცრად გააკრიტიკეს ის სამშენებლო ორგანიზაციები და შემკვეთები, რომელთა მიზეზით დაშვებულა ჩამორჩენა. აღინიშნა, რომ საჭიროა ყველაზე გადამწყვეტი ღონისძიებების განხორციელება შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

განიხილეს სამშენებლო წარმოების მართვისა და სამუშაოთა ორგანიზაციის სრულყოფის საკითხები, საიჯარო ორგანიზაციების მიერ საბინაო მშენებლობის ობიექტებზე ძალისა და მატერიალური საშუალებების კონცენტრაციის გზები, აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ზოგიერთი საკითხი, ბინების მშენებლებს ჯერ კიდევ აკლიათ ცემენტი, აგური, ბლოკები, რკინა-ბეტონის ხიმინჯები, კონსტრუქციები, საღურგლო ნაკეთობანი.

თუმცა მშენებლობის ხარისხი მთლიანად წლის დამდეგიდან რამდენადმე გაუმჯობესდა, ცალკეულ ობიექტებზე იგი კვლავ დაბალია. ეს განსაკუთრებით შეეხება მოპირკეთებისა და სანტექნიკურ სამუშაოებს. მშენებლობის პროცესში ხშირად არის დამტკიცებული პროექტებისაგან გადახვევის შემთხვევები, არღვევენ სამუშაოთა წარმოების ტექნიკურ პირობებს.

საშენი მასალების, ბეტონის, რკინა-ბეტონის, საღურგლო და კაკეული ნაწარმის, ხრეშის, საღებავისა და სხვა პროდუქციის არადამაკმაყოფილებელი ხარისხი, ახალი მოსაპირკეთებელი მასალების ნაკლებობა, აგრეთვე სუსტი კონტროლი, საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის დაბალი ხარისხის ძირითადი მიზეზია.

პარტიის ზოგიერთი საქალაქო და რაიონული კომიტეტი ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ უთმობს ძირითად და გადაუდებელ ამოცანას — საბინაო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებას, მსჯელობის საგნად არ ხდის გრაფიკის დარღვევით ობიექტების ჩაბარების მიზეზებს, ყოველდღიურ და კონკრეტულ დახმარებას არ უწევს მშენებლობებს. საკმარისად არ ინიციერებს მოწინავე მუშათა გამოცდილებას, სუსტად შლის კოლექტივებს შორის შეჯიბრებას მუშაობაში უკეთესი მაჩვენებლებისათვის.

თათბირმა შეიმუშავა ღონისძიებანი რომლებიც მიზნად ისახავენ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმების უფრო შესრულებას. (საქინფორმი).

კონტრასტები საკვების დამზადებაში

● თემქის მეურნეობაში რეზერვები ტყვეოთაშია
● საკვები აკვთ, ყველადობა კი დღენიადაგ მცირდება

დადგა პირუტყვისათვის საკვების მომზადების დრო. გზისა და ბაღ-ვენახების პირგზე, მიუდგომელ ადგილებში აწკრიალდა ცელი. კასპის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დაიწყეს თიბვა და მეწველი ძროხებისათვის მისი მწვანე საკვებად გამოყენება. ამით რაიონში შესაძლებლობა შეიქმნა სწრაფად დაეძლიათ სიძნელეები წველადობის დაკვალებათა შესრულებაში. წელს 5 თვეში სახელმწიფოსათვის მიყიდულია 14.874 ცენტნერი რძე და ამით შარშანდელ ამ დროის მაჩვენებელს 384 ცენტნერით გადაეჭარბეს. ივნისში წველადობა ყოველდღე მატულობს.

ივნისი დაიწყო და ამინდი კვლავ ჭირვეულობს. სასოფლო სამეურნეო კულტურებისათვის, მთა შორის როგორც ნათესი, ისე ბუნებრივი ბალახისათვის არახელსაყრელი პირობებია. ამ ვითარებაში პარტიის რაიონული კომიტეტი, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი, სოფლის მეურნეობის სამმართველო მეტოპერატიულობასა და ორგანიზებულობას იჩენენ. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეიქმნა მექანიზებული ბრიგადები, რგოლები, სოფლტექნიკის რაიონულმა განყოფილებამ. წესრიგში მოიყვანა საფიბები, ფარცხები და სხვა საჭირო იარაღი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების 1978 წელს მოსავლის აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვების დამზადების და 1978-79 წლის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებების შესახებ, შესაბამისად რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს დაიწყონ თავთო შეტევა საკვების მოპოვების საქმეში. მას სათავეში ჩაუდგნენ კომუნისტები.

პირუტყვისათვის საკვების მომზადება კარგად დაიწყო ქასპის მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ. აქ სპეციალურად შედგენილია თივის აღების სამუშაო გეგმა-გრაფიკი. კოლმეურნეობაში კარგი ქნეს, რომ ველის პირას და მიუდგომელ ადგილებში შემოსული ბუნებრივი ბალახის თიბვა დაიწყეს. მწვანე მასას იყენებენ ძროხების საკვებად. სწორედ ამის შედეგია, რომ წველადობა ყოველდღე მატულობს. მაგალითად, თებერვალში ეს მანამდე ღიღნენ 1.500-1.600 კილოგრამ რძეს, 30 მაისს მიიღეს 2.815 კილოგრამი რძე, 31 მაისს — 2.835 კილოგრამი. ივნისში ეს მაჩვენებლები უფრო მატულობს.

ქვათახევის საბჭოთა მეურნეობაში მარტო გზისა და ბაღ-ვენახების ნაპირებზე უკვე გაითიბა 80 ტონაზე მეტი ბალახი, და მწვანე მასას იყენებენ ძროხების საკვებად. ამის შედეგად ყოველდღე საშუალოდ იღებენ 1700-1800 კილოგრამ რძეს, რაც შარშანდელს დიდად ჯობობს.

თიბვა ორგანიზებულად დაიწყეს კოდისწყაროს, ჭისნის და სხვა საბჭოთა მეურნეობებსა, ხოვლეს და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

სამწუხაროდ, ასე როდის მუშაობენ თემქის საბჭოთა მეურნეობში (დირექტორი — კ. ტატუაშვილი, პარტიული კომიტეტის მდივანი — გ. ნუგზარაშვილი). მეცხოველეობაში მთავარი ამოცანაა — ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების გადიდებისათვის შესრულდეს ყველა სახის საკვების დამზადების დავალება. ფაქტიურად შარშან 1.500 ტონის ნაცვლად დამზადდეს 4.200 ტონა სილოსი. წელს იკისრეს დამზადონ 2.340 ტონა სილოსი, ასევე დიდი ოდენობით სენაჟი, უხეში საკვები. ეს კარგია, მაგრამ საჭიროა სიტყვის შესრულება.

საკვების დამზადების მხრივ მეურნეობაში ჯერჯერობით არაფერი კეთდება. რაიონში მიმდინარეობს გზის პირზე და მიუვალ ადგილებში ბალახის თიბვა. აქ კი ამ საქმისათვის თავი არ შეუწუხებიათ, თუმცა ბაგურ კვებაზე ჰყავთ 620 ძროხა. არის შესაძლებლობა, რომ ყოველდღე ბალახი გათიბონ და მწვანე საკვებად გამოიყენონ. მეურნეობის კანტორის წინ ბალახი ისე კარგად გაზრდილა, რომ მისი გათიბვა და პირუტყვისათვის მწვანე საკვებად გამოყენება შეიძლება. ამას მეურნეობის მესვეურები ყოველდღე ხედავენ, მაგრამ... ცხადია, ამის შემდეგ რაღა ითქმის დაშორებულ სათიბებზე? თავს რომ არ იწუხებენ და მეწველ ძროხებს მწვანე ბალახს არ აძლევენ, იმიტომაა, რომ წველადობაში საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. 30 მაისს აწარმოეს 3.621 კილოგრამი რძე; გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 1.041 კილოგრამით ნაკლები. ეს ჩამორჩენა ივნისშიც გრძელდება. წელს ხუთ თვეში შარშანდელთან შედარებით 63.900 კილოგრამით ნაკლები რძე მიიღეს. ახლა მაის-ივნისში, როცა უკვე ყველგან არის მწვანე საკვები, განა წველადობის შემცირება შეიძლება?

თემქის საბჭოთა მეურნეობაში 2.500 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვია. შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია მთლიანად არც ერთ ფერმაში არ არის დანერგილი. გასულ თებერვალში ერთ-ერთი ფერმის შენობა ისე დაინგრა, რომ იქ პირუტყვის დაბინავება შეუძლებელი. დანგრეული ფერმის აღდგენა დღემდე ვერ მოხერხდა. ფერმის მმართველმა ვ. ჭელიძემ გვითხრა, ჩვენ რა ვქნათ, რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოზე ვართ დამოკიდებული, ჯერჯერობით კი მშენებლობისთვის ფული არ გამოუყვიათო.

როგორც ამბობენ, კომენტარი ზედმეტია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ნათქვამია, რომ მოსავლის აღებისა და საკვების დამზადების დროს საჭიროა ყველა ავტომობილზე დაკომპლექტდეს მძღოლთა შემადგენლობა, ისე, რომ ერთ ავტომობილზე ორი მძღოლი მოდიოდეს. მეურნეობაში ჯერჯერობით ამის შესაძლებლობა არა აქვთ, არ ყოფნით კადრები. მეურნეობამ 1977 სამეურნეო წელი ზარალით დამთავრა. წელს თუ ასე გაგრძელდა მუშაობა, ცხადია კვლავ ზარალი ექნებათ.

ახლა უამინდობის გამო დაკარგული დრო შეიძლება და კიდევ უნდა ავინაზღაუროთ. როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ნათქვამი, არ უნდა დაუშვათ, რომ დაიკარგოს თუნდაც ერთი კილოგრამი საკვები, უნდა გამოვიყენოთ საკვების მოპოვების ყველა არსებული რეზერვი, თითოეულ ფერმაში უთუოდ შეგვქმნათ საკვების სარეზერვო ფონდი.

შ. ჭოჭუა.

„კომუნისტის" სპეც. კორ.

მოკლედ

ყოველი მსრიდან

კონფერენცია გაიხსნა

● ვაშინგტონი. რასიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან გამოხსულ ამერიკელთა ერთიანობის საკითხებს მიეძღვნა ვაშინგტონში გახსნილი ეროვნული კონფერენცია. იგი მოწვეულია ორგანიზაცია „იმეჯის" ინიციატივით, რომელიც ესპანურ ენაზე მოლაპარაკე ამერიკელებს აერთიანებს.

მაღლდება ქალის როლი

● ქაბულა. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების პროგრამაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა, გათვალისწინებულია, კერძოდ, ქალის როლის ამაღლება ქვეყნის ცხოვრებაში. მრავალი საუკუნის მანძილზე ქალი ავღანეთში უუფლებო არსება იყო. აპრილის რევოლუციამ ავღანელ ქალს მიანიჭა ფართო უფლებები, უწინარეს ყოვლისა შრომისა და საზოგადოებრივი საქმიანობის უფლება.

ნ. ჭავატმას განცხადება

● ალჟირი. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის იმპერიალისტური და სიონისტური წრეები არაბულ რეაქციასთან შეთანხმებით ცდილობენ განახორციელონ ახალი შეტევა რევოლუციური და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ არაბულ სამყაროში, განაცხადა პალესტინის განთავისუფლების დემოკრატიული ფრონტის გენერალურმა მდივანმა ნ. ჰავატმამ, მან გააკრიტიკა ეგვიპტის პრეზიდენტის სადათის წინადადება, რომლის შესაბამისად იორდანიის დასავლეთი ნაპირი უნდა გადავიდეს იორდანიის ხელში, ხოლო ღაზის ხელქტორი ეგვიპტის ხელში.

ევთქმულება აფრიკის წინააღმდეგ

ნატოს ავბედით გეგმებს აფრიკის მიმართ ემბინ მსოფლიოში, და უწინარეს ყოვლისა აფრიკის კონტინენტის ქვეყნებში. აფრიკის ქვეყნებს მიაჩნიათ, რომ ვაშინგტონს, პარიზს, ბონს, ლონდონსა და ბრიუსელს ნეოკოლონიალისტური ზრახვები საფრთხეს უქმნიან მათ თავისუფლებას, დამოუკიდებელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას.

აჯიუ-აბეება. ევრეთ წოდებული „აფრიკის ქვეყნების თავდაცვის ძალების" შექმნის გეგმები, რომლებსაც ადგანან ნატოს ქვეყნები და პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და ბელგია, მიზნად ისახავენ დასავლეთის ეკონომიკური, პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესების შენარჩუნებას აფრიკის კონტინენტზე, წერს სარედაქციო სტატიაში გაზეთი „ეთიოპიენ ჰერალდი". ნატოელ სტრატეგებს სურთ ამ „თავდაცვითი ძალების" საშუალებით კონტროლი გაუწიონ მთელ აფრიკას, თავიანთი პირობები უკარნახონ დამოუკიდებელ ქვეყნებს, უზრუნველყონ სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმების არსებობა.

ალჟირი. პარიზში ნატოს წევრი ხუთი სახელმწიფოს თათბირზე ამუშავებდნენ აფრიკაში იმპერიალისტური ძალების ერთობლივი მოქმედების სამხედრო და პოლიტიკურ გეგმას, წერს ალჟირის გაზეთი „აშ-შაბი". ეს გეგმა მიზნად ისახავს უწინარეს ყოვლისა ეგრეთ წოდებული „უშიშროების სარტყლის" შექმნას იმ ქვეყნების ირგვლივ, რომლებიც მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. ნატოს სამხედრო ინტერვენცია ზაირში საკმაოდ ადასტურებს იმპერიალიზმის ზრახვებს, რომელიც ცდილობს ხელი შეუშალოს აფრიკის ხალხებს თვითონ განაგონ თავიანთი ბუნებრივი სიმდიდრენი.

ბაკარი. სენეგალის დემოკრატიულმა პარტიამ გაილაშქრა „აფრიკის ქვეყნების ძალების" შექმნის გეგმების წინააღმდეგ. თავის განცხადებაში პარტიამ ხაზი გაუსვა, რომ ამ ძალებს ჩაყენებენ ზოგიერთი პროიმპერიალისტური მოღვაწის სამსახურში, რათა ძალაუფლება შეუნარჩუნონ პოლიტიკურ რეჟიმებს, რომლებსაც ხალხები უარყოფენ. ამას მოჰყვება აფრიკის შემდგომი გათიშვა. (საკდესი).

სენატორი აკრიტიკებს

ვაშინგტონი, (საკდესი). თვალსაჩინო ამერიკელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, სენატორმა ჯ. მაკგოვერნმა, რომელიც გამოვიდა სატელევიზიო პროგრამით, განაცხადა, რომ მთავარი მიზანი ანტიკომუნისტური ისტერიისა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების კონსერვატიული ძალები ატეხავენ, ის არის, რომ ამერიკელთა ყურადღება ჩამოაშორონ მთავრობის უუნარობას თავი გაართვას ურთულეს შინაურ პრობლემებს, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას, „ინფლაციის, უმუშევრობის ენერგეტიკული კრიზისის, ქალაქების დაქვეითების წინააღმდეგ ბრძოლა მეტად ძნელი საქმეა. გაცილებით უფრო ადვილია ყველა ცოდვა რუსებს გადააბრალო", — თქვა მან. სენატორმა მკაცრად გააკრიტიკა სსრ კავშირთან კონფრონტაციის, დაძაბულობის შენელების პოლიტიკაზე უარისთქმისა და სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკების სხვა საკითხებთან დაკავშირების კურსი, რომელსაც პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ზ. ბჟეზინსკი ქადაგებს.

კოლუმბიის ახალი პრეზიდენტი

ბოგოტა, 6 ივნისი. (საკდესი). როგორც ხმის დათვლის წინასწარი მონაცემები მოწმობენ, ხესარ ტურბაი ალამ — ლიბერალური პარტიის კანდიდატმა ოფიციალური გამარჯვება მოიპოვა კვირას კოლუმბიაში გამართულ პრეზიდენტის არჩევნებში. მან მიიღო 2,2 მილიონზე მეტი ხმა. მისმა ძირითადმა მეტოქემ სახელმწიფოს მეთაურის პოსტისათვის ბრძოლაში — კონსერვატორმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხალხი პატივს სცემს ილია ჭავჭავაძის ხსოვნას



ძმობის სალიდეგლად

დღეს საბჭოთის დედაქალაქი — მოსკოვში, მოსკოვეტის სახელოგის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართეგა ილია ჭავჭავაძის დაგადეგის 140-ე წლისთავის აღსანიშნავი დიდი საიუგილეო საღამო.

საქართველოს სიყვარულით

თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ეროვნულ მასზე, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებაზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა.

1889 წ.

როცა კვდებოდა, იგი უკვე უკვდავი იყო!

რა უნდა გითხრათ მე თქვენ, რომლებმაც ზეპირად იცით ილია ჭავჭავაძე, რომ გაგაგებინოთ, თუ რაოდენ პატივსაცემი და ძვირფასია ჩემთვის ეს კაცი? ვფიქრობ, რომ, ასე იქნება თუ ისე, საუბარი შეეხება მსჯელობას მარადისობის, სიიმაყისა და ღირსების, დროისა და თავისუფლების თემას.

სამყარო, რომელშიც ილია ჭავჭავაძე იმყო, და სამყარო, რომელშიც იგი გარდაიცვალა, არ ჰგავდა ერთმანეთს. სამყაროში, რომელსაც მომაკვდავმა ილიამ უკანასკნელად გადააავლო თვალი, ბევრად მეტი იმედი იყო, რომ თავისუფლება და სამართლიანობა, ბოლოს და ბოლოს, გაიმარჯვებდა; ჯერ კიდევ 1905 წლის დენთის სუნი ტრიალებდა და სულ ათიოდე წელი რჩებოდა 1917-მდე. შემდგომში დიდი გალაკტიონი იტყვის, წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდიო; ქუთაისის გიმნაზიაში უკვე კამათობდნენ აქაურ მოსწავლეებზე — ტაბიძესა და მაიაკოვსკიზე, თუმცა ჯერ არც კი იცოდნენ, რომ ისინი ახალი დროისა და მისი პოეზიის მაცნენი იყვნენ.

დიდმა ილიამ თვალი დახუჭა სამყაროში, სადაც მისი მშობელი ხალხი ბევრად უფრო ღირსეულად ლაპარაკობდა, ფიქრობდა და ოცნებობდა, ვიდრე ილიას დაბადების წელს. და ამაში უდიდესი როლი შესასრულა თვითონ მან!

როცა კვდებოდა, იგი უკვე უკვდავი იყო. იგი კვდებოდა იმდენად დიდი, რომ მარტო ლიტერატურის ფარგლებში ვერ ჩაეტეოდა. და მაინც, ილია ჭავჭავაძის დაბადების წელი და სიკვდილის წელი მარტო მარადიულობით როდია დაკავშირებული.

მათ აკავშირებს ტყვიის ზუზუნიც.

დიდი ილიას დაბადების წელს ტყვიამ შეწყვიტა პუშკინის გულისძგერა, სხეული დაუფლითა რუსეთის შვილს, რომელსაც მეზნებარედ უყვარდა კავკასია და ბევრს ფიქრობდა თქვენს ღირსებასა და თავისუფლებაზე.

დიდი ილიას დაბადების წელს ყმობიდან გამოისყიდეს ტარას შევჩენკო, უკრაინის გამოჩენილი შვილი, რომელმაც გენიალური პოემა „კავკასია“ დაწერა ჩაგრულა და უსამართლობის წინააღმდეგ თქვენი ბრძოლის შესახებ. მასაც უკვე დაეძებს იგივე ტყვია, და მალე დაიღუპება...

მაგრამ იშვა დიდი ილია! თავისუფლების სულისკვეთებას ვერ ჩაჰკლავ ერთბაშად ყველა სულში — ხალხები ერთმანეთს გადასცემენ მას, როგორც თავიანთი უკვდავების უძვირფასეს ხაზინდარს — თავისუფლების ესტაფეტა უძლეველია. და მაშინაც, როცა იგივე ტყვია შეაჩერებს ილიას გულისძგერას, ეს ვერ ისსნის მკვლელებს.

უკვდავია ილია. უკვდავნი არიან პუშკინი, შევჩენკო — მსოფლიოს ყველა დიდი გიორგი, აკაკი, ივანე, ტარასი, ილია — და ვერავითარი ბარაღით ვერ დავუსვამთ წერტილს მათ ბიოგრაფიებს, მათ ბედს, რადგან ეს ხალხების ბედია. ისინი გვესაუბრებიან, სანამ მათ ხალხს არ დაუკარგავს მეტყველება, მესხეერება, ღირსება. სანამ ხალხი ტრაგიკულად არ დაბრმავებულა და დამუნჯებულა, ისინი მარადიულნი არიან!

ილია უადრესად ერთნულია და ამავე დროს უნივერსალური, როგორც ნებისმიერი ნამდვილად დიდი მოაზროვნე. როცა ლესია უკრაინკა გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე სიყვარულით კითხულობდა ილიას, რა თქმა უნდა, გრძნობდა სახალსო აჯანყებათა ერთ-ერთი მშვენიერი ლოზუნგის სიმართლეს — „თქვენი და ჩვენი თავისუფლებისათვის!“. მოდით, ერთი წუთით დავფიქრდეთ — ღმერთმანი, რომელიმე დღევანდელი სამხრეთაფრიკელი ზანგი რომ ვიყო, რამდენ ძალას შემმატებდა დიდი ილიას ცხოვრებისა და თხზულებების ცოდნა! ნეტარებაა ამის შეგრძნება, მაგრამ კიდევ უფრო სასიხარულოა, როცა იცი რომ ილია შენმა ხალხმა შვა, რომ იგი ამ ხალხის მოწიფულობის სიმბოლოა; რომ საქართველო ფილოსოფიურად და რევოლუციურად მომწიფდა მდგომარეობისათვის, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ეწოდება! რადგან სასიხარულოა, როცა ხედავ, როგორ პატივს სცემენ და უფრთხილდებიან საბჭოთა საქართველოს მთავრობა და ხალხი ილიას ღვაიბრივი სულისა და გონების საუნჯეს, რა უხვად უზიარებენ მას მსოფლიოს.

თაყვანს გცემთ, რადგან თქვენ ახწავლეთ მას ლაპარაკი და სუნთქვა, ახლა კი ვერასოდეს ვეღარ ილაპარაკებთ და ისუნთქებთ უილიადოდ, რადგან იგი განუყოფელია თქვენი ცხოვრებისა და მეტყველებისაგან.

თაყვანს გცემთ, რადგან თქვენ საბჭოთა უკრაინის ძმები, ჩემი ძმები ხართ; მაშასადამე ილია ჭავჭავაძე ჩემი უფროსი ძმაა, ასეთი მოყვრობა კი მთელი შენი ცხოვრებით უნდა გაამართლო კაცმა.

ჩვენში ამბობენ, ალბათ, თქვენშიაც არის ასეთი ჩვეა, როცა მშობლებს სურთ, რომ მათი შვილი ჭკვიანი და ლამაზი იყოს, მისი დაბადების წინ მშვენიერსა და დიადზე ფიქრობენ, სიბრძნითა და სილამაზით ივსებენიონ. მაშ მოდით, ვიფიქროთ ილია ჭავჭავაძეზე, რათა ჩვენი შვილები მას დაემსგავსონ მამულისა და ხალხის უკვდავების საწინდრად.

მოდით, ერთად ვიფიქროთ ილიაზე — ვიყოთ მისი ღირსნი!

ვიტალი კოროტკიჩი.
ქ. კიევი.

საიუბილეოდ

მოსკოვში ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებისათვის სპეციალურად რუსულ ენაზე გამოიდა ფერადი ბუკლეტი, რომელშიც მკითხველი გაეცნობა მწერლის ბიოგრაფიას, ლექსების ნაწყვეტებს, რომელთა თარგმანი ეკუთვნის ნ. ზაბოლოცკის, ვ. დერეკინს, ე. ევტუშენკოს, ი. კოზლოვსკის და სხვებს.

ბუკლეტში დაბეჭდილია აგრეთვე ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტომასალები, მხატვრული ნაწარმოებების ილუსტრაციები, ილიას თანამედროვეთა პორტრეტები.

ბუკლეტი, რომელიც დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბაში, შეადგინა გ. ცაცანაშვილმა, რედაქტორია ვ. გორდულაძე, მხატვარი — ი. ჭიჭარიანი, ტექნიკური რედაქტორი ვ. დოსაძე.

მარადის ჩვენთან

დიდი პოეზიის ძალა ის არის, რომ მისი ზნეობრივი, ჰუმანისტური, პატრიოტული ზემოქმედება მარტო იმ დროით არ შემოიფარგლება, როცა იგი იქმნებოდა.

ასეთი პოეზია დაგვიტოვა ილია ჭავჭავაძემ. მან გადააბიჯა თავის დროის საზღვრებს და ჩვენი თანამედროვეების ცხოვრებაში შემოიჭრა, მან გადადაბიჯა საქართველოს საზღვრებს და ჩვენი საერთო სულიერი საუნჯის ნაწილი გახდა.

დიდი პოეტების მცნებანი, დიდი პოეტების გაკვეთილები ჩვენი ცხოვრების გამოცდილებაში მკვიდრდება და გვეხმარება ქცევის მხატვრული და საზოგადოებრივი პრინციპების გამომუშავებაში.

ილია ჭავჭავაძე მრავალმხრივი პიროვნება იყო და ყოველ კაცს, როცა დაუფიქრდება იმას, თუ რა დაგვიტოვა პოეტმა, დაუფიქრდება პოეტის ხვედრს, შეუძლია გამოყოს ყველაზე დიდმნიშვნელოვანი თავისთვის, ხელოვნების განვითარების თავისეული გაგებისთვის.

ილია ჭავჭავაძე შეშმარიტი ქართველი იყო. მგზნებარედ ეფერა მის ბაგეთაგან:

თავისუფლების მშვენიერის სხივთ მხურვალება
როდის დაადნობს დაყინგებულს დიდ ხნის
ბორკილსა,
და ქართველობა ხიალულად როდის ექნება
ქვეყნის წინაშე ყოველ ქართველის ერთგულსა
შვილსა?

მას, როგორც მოაზროვნეს, კარგად ესმოდა, რომ საქართველოს თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ ხალხის მთელი თავისუფლებისმოყვარე ძალების გამოვლენის მეთხებით, და მეგობრები, რომლებმაც ზუგი აქციეს ბრძოლის, მან სამარცხვინო ბოძზე გააკრა.

რუსულ, ქართულ და, საერთოდ, მსოფლიო პოეზიაში ყველაზე მგზნებარე სტრიქონები, რომლებიც დაკავშირებულია ოდედთან, სიხარულთან, ერთგულებასთან, გულისტკივილთან, მუდამ დედისადმი ყოფილა მიმართული. დედის სახის წინაშე ყოველი პოეტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, აღსარებას ამბობს, მას უზიარებს უმთავრესსა და სანუკვარ აზრებს. ილია ჭავჭავაძის „ქართველის დედაში“ თვით მისი სული ღაღადებს. და აქ

ეი, თავისი პირადი ბედისა თუ პირადი გრძნობებისათვის კი არ ქმუნავს, არამედ წარმოგვიდგება როგორც ხელოვანი, რომელსაც გულს დარდად აწვეს საყვარელი მამულის მომავალი:

მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვხდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

ლიტერატურის ისტორიის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყოველ დიდ პოეტს თავის ზნეობრივ სამყაროში შეჰქონდა სხვა ხალხთა მშვენიერი და ამაღლებული იდეალები, და ჩვენ, რუსებს, შეგვეძლია ვიამაყოთ იმით, რომ ილია ჭავჭავაძის პიროვნების პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჩამოყალიბება რუსეთში მისი სტუდენტობის დროს მიმდინარეობდა რუსული რევოლუციურ-დემოკრატიის ბელადების მძლავრი გავლენით.

არა ოფიციალური პეტერბურგის კეთილსახეირება, არა ბაელს მოედანზე ჯარისკაცების წვრთნა, არა მაღალი, საზოგადოების სალონების ფუქსავატობა, არამედ გახთიადამდე ბაეკრობა სტუდენტთა წრეებში, ბელინსკისა და გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მგზნებარე სტატიები, ყოველდღიური ტრიალი ახალგაზრდა რუსულ საზოგადოებაში ქმნიდა ილია ჭავჭავაძის შეგნებაში იმ სულიერ ღირებულებებს, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე გამოატარა და რომლებმაც მის ბუნებრივ ნიჭთან შეხებისას, როგორც კაუზე კვესის ჩამოკრისას, მისი შთაგონებული ლექსებისა და პოემების ციცხლი აგიზგიზეს.

და კვლავ და კვლავ უფიქრდები იმას, თუ როგორ უწყობენ ხელს დიდი პოეტები ხალხთა ერთობას, როგორ აახლოებენ თავიანთი შემოქმედებით ხალხთა შინაგან სამყაროს. ეს აზრი ღელვიადგა თან გვდევს მთელი თავისი იდუმალი რეალობით. სულ რამდენიმე დღის წინათ პოლტავის ოლქში ახალგაზრდა პოეზიის X საკავშირო ფესტივალზე ჩვენი მრავალეროვნული ლიტერატურის ახალგაზრდა პოეტებმა თაყვანი სცეს მეორე დიდი ქართველის საფლავს, რომელიც თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით ასევე აერთიანებდა ხალხებს, — დაეთი გურამიშვილის საფლავს. 1858 წლის 15 დეკემბერს ილია ჭავჭავაძემ პეტერბურგში დაწერა:

დედავ! ისმინე ქართველის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ბეშმარიტება,
უკან მრჩეს კვალი განათლებული.

ილია ჭავჭავაძის ეს ანდერძი მარად ჩვენთან არის, და მარად იქნება ამათთან, ვინც ჩვენ შემდეგ მოვა.

ოლეგ შესტინსკი.
ქ. ლენინგრადი.

საქართველოს სინდისი

ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის საგანძურში განსაკუთრებული ადგილი უკავია ერთა შორის ძმობის ტრადიციებს ერთგულებას. რაოდენ ბედნიერი იქნებოდა ეს თერგდალეული, რომელმაც გონებითა და გულით აღიქვა რუსი რევოლუციონერი დემოკრატების იდეები, თავისი თვალით რომ ეხილა თანამედროვე ქართული და რუსული კულტურების მძლავრი კავშირი! საბჭოთა ეპოქაში ეს ურთიერთობა უჩვეულოდ გამდიდრდა და განმტკიცდა, ბუნებრივი, ყოველდღიური გახდა და ამასთანავე ოდნავადაც არ დაუკარგავს თავისი შემოქმედებითი მგზნებარება.

აქ შეგვიძლია საკუთარ პირად შთაბეჭდილებებსაც დავსჯერდეთ და მის ფარგლს არ გავცდეთ..

მაშინ გავიხსენებ ჯერ კიდევ ომამდელ წლებს ქართველი პოეტების ჩამოსვლას მოსკოვსა და ლენინგრადში, ბორის პასტერნაკს ტიციან ტაბიძესთან ერთად მინსკში გამართულ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე, რომელიც პოეზიის საკითხებს მიეძღვნა, ნიკოლოზ ტიხონოვს, რომელიც წყნეთში მუშაობდა გიორგი ლეონიძესთან, სიმონ ჩიქოვანთან და კარლო კალაძესთან ერთად, რომლებიც რესპუბლიკას ათვალიერებინებდნენ ნეგისპირა ქალაქიდან ჩამოსული მწერლების ჯგუფს!

შემდეგ დაიწყო ომი, რომელმაც კიდევ უფრო დაამყარა და დააახლოვა სიტყვის ოსტატები, სხვადასხვა ენაზე რომ წერენ, მაგრამ სულიერად ადვილად ესმით ერთმანეთისა. და როგორც ამ დიდი მეგობრობის ცოცხალი განსახიერება, მიხეილ ლუკონინი სტუმრად რეკვზე მარგიანთან. ან გრიგოლ აბაშიძე, რომელიც ვეგენი ვინოკუროვს ესაუბრება, ან ალექსანდრე მეტიროვი, უკვდავი რუსთაველისადმი მიძღვნილი ირაკლი აბაშიძის ლექსების თარგმანს რომ ჩასჯდომია. „ყოველივე ეს შემთხვევითი შეხვედრები, სხვათა შორის ნათქვამი რეპლიკები როდია. ყოველი მეგობრის შეხვედრის უკან უნდა ვეძიოთ მრავალი დღის შრომა, რომლის ნაყოფიც არის მგზნებარე, მშვენიერი სტრიქონები, მკითხველს რომ გულში სწვდება, სასპასუხო ექოს რომ პოვებს და მტკიცედ მკვიდრდება მის ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, შეგვიძლია გავიხსენოთ ხაზიმო წუთებიც, როდა დედამიწის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა ხალხმა თავი მოიყარა პატარა, მხიარული ქალაქის მოედანზე, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ უბადლო ავტორის ძეგლი იხსნებოდა. ან ის წუთები, რომლებმაც თითქოს გაიელვეს წინანდალში იმ დღეებში, მგზნებარე და ბრძენ ბარათაშვილს რომ მიეძღვნა ან ის წუთები, როცა დაუვიწყარი ალალატონ ტაბიძის სამშობლოში ჩავეიჯანეს. ყველა ამ ზეიმს თავისი ლაზათი, თავისი ღამაზი მხარე ჰქონდა და ამასთანავე მათ თან სდევდა ყოველდღიური საქმიანობა, რომელმაც მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო და საუნეთა მოვვლია უკვე გაგვიცნო ერთმანეთი და ერთად გვემუშავა.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ თბილისის 1976 წლის ნოემბრის საქმიანი შეხვედრა, როცა ქართული ლიტერატურის საბჭომ კონსტანტინე სიმონოვის ხელმძღვანელობით იმსჯელა ლიტერატურული ურთიერთობის შემდგომი განვითარების არსებითს საკითხებზე. ამ დღეებში ბევრი რამ გაბდა ნათელი და ჩვენ დავინახეთ, როგორი ჰორიზონტებია გადაშლილი ჩვენს წინაშე, რა ბევრი რამ გვაქვს კიდევ გასაკეთებელი.

ამ ზეიმისა და შრომის ხაათებში სიხარულით შეეცქეროდით უფრო ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ნაცად, საქმით შემოწმებულ მეგობრობას — ბელა ახმადულინას ანა კალანდაძესთან ერთად, ელენე ნიკოლაევსკაიას — მურმან ლებანიძესთან, ევგენი ევტუშენკოს — ოთარ ჭილაძესთან ერთად, მისეილ სინელნიკოვს — მორის ფოცხიშვილთან და ჯასუფ ჩარკვიანთან ერთად, მაგრამ ჩვენ ხომ აქ ყველანი არ ჩამოგვითვლია!

თუმცა, რატომ ვლაპარაკობთ მარტო პოეზიაზე? უკვე რამდენიმე ათეული წელია რუსი მკითხველის მაგიდაზე და ბიბლიოთეკებში საპატიო ადგილი უკავიათ ქართველ პროზაიკოსთა რომანებს, ნოთხრობებს, ნოველებს. მათ ჩამოთვლას აზრი არა აქვს. მათ კითხულობენ გატაცებით, ერთმანეთს ადარებენ და აფასებენ, მათ შესახებ წერენ სტატიებსა და წიგნებს. თუ ახლანდელ დროს შევეხებით, უნდა ითქვას, რომ საბჭოთა პროზის იმ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც განსაკუთრებით იპყრობს საყოველთაო ყურადღებას, უნდა დავასახელოთ ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“ და ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“...

თავის რიგს ელიან წიგნები, მათ შორის ისინი, რომლებიც ჯერ არ თარგმნილა.

ამ სტრიქონების ავტორი ლიტერატურული კრიტიკოსია და ამიტომ არ შეიძლება არ მოიხსენიოს გურამ ასათიანის, გიორგი მარგველაშვილის, ეკრამ გგრიდწითელისა და სხვა ქართველი კრიტიკოსების ნამუშევრები, რომლებიც დიდი ინტერესით იკითხება. მათი შრომების მნიშვნელობას, რა თქმა უნდა, ისიც განსაზღვრავს, რომ ისინი კარგად გრძნობენ, ნათლად ესმით კულტურათა ერთიანობა, ლიტერატურათა ურთიერთმოქმედება, რომლებიც შთაგონებულია სოციალიზმის მაღალი იდეებით.

ასე რეალურად ადასტურებს სხვადასხვა ბედი და სხვადასხვა წიგნი ხალხების, ლიტერატურების, მწერლების მეგობრობას.

ახლა სინამდვილედ იქცა ილია ჭავჭავაძის ოცნებები და იმედები. გასული საუკუნის სხვა საკითხებთან მოაზროვნეებთან ერთად იჯი ილეწოდა ხალხთა დაახლოებისათვის. გულითადი და გონივრული მეგობრობისათვის.

და საქმემ, რომელსაც მიუძღვნა მან კეთილი და ბრძენი ნიჭი, თავისი სპეტაკი და კეთილშობილი სული, გაიმარჯვა.

იოსეფ გრინგერგი.
ქ. მოსკოვი.

ილია ჭავჭავაძის გამარჯვება

ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის საგანძურში განსაკუთრებული ადგილი უკავია ერთა შორის ძმობის ტრადიციებს ერთგულებას. რაოდენ ბედნიერი იქნებოდა ეს თერგდალეული, რომელმაც გონებითა და გულით აღიქვა რუსი რევოლუციონერი დემოკრატების იდეები, თავისი თვალით რომ ეხილა თანამედროვე ქართული და რუსული კულტურების მძლავრი კავშირი! საბჭოთა ეპოქაში ეს ურთიერთობა უჩვეულოდ გამდიდრდა და განმტკიცდა, ბუნებრივი, ყოველდღიური გახდა და ამასთანავე ოდნავადაც არ დაუკარგავს თავისი შემოქმედებითი მგზნებარება.

ილია ჭავჭავაძე
1 ✿ 0

ზესტაფონი

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

ლაპარაკობენ წიგნის გმირები

ლ. ი. ბრეჟნევის წიგნმა „მცირე მიწამ“ მკითხველთა საყოველთაო აღიარება მოიპოვა. წიგნს მახობრივად განიხილავენ მკითხველთა კონფერენციებზე. სწორედ ასეთი ღონისძიება მოაწყო ამას წინათ ზესტაფონის სარაიონო ბიბლიოთეკამ და ხაზგადაღება „ცოდნის“ განყოფილებამ.

წიგნის განხილვის შემდეგ მკითხველთა წინაშე გამოვიდნენ მცირე მიწის გრძოლების მონაწილენი. ომის ვეტერანებმა მ. ჩუბინიძემ და ა. ნიშნიანიძემ მოიგონეს სამკვდრო - სასიცოცხლო გრძოლების ეპიზოდები, ილაპარაკეს საბჭოთა მეომრების პატრიოტულ თავდადებაზე, რკინისებურ ნებიყოფაზე, რომელსაც მათ მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი ლ. ი. ბრეჟნევი უნერგავდა.

მეტალურგებს მოემსახურება

მდინარე ყვირილას მარცხენა სანაპიროზე სოფელ კვალითის ტერიტორიაზე შენდება მეტალურგთა ახალი ქალაქი 10 ათასი მცხოვრებისათვის, ახალმოსახლეობა აქ ჩვეულებრივი ამბავი გახდა. საექსპლოატაციოდ გადაეცა რამდენიმე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, საფოსტო განყოფილება, ბიბლიოთეკა, მაღაზიები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

მეტალურგთა მომავალ ქალაქს კიდევ ერთი საახლე შეეძატა — დამთავრდა ახალი, 120-საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა. მეტალურგებს და მათი ოჯახის წევრებს მოემსახურება თერაპიული, ქირურგიული, ნეგროლოგიური, ტრავმატოლოგიური და ბავშვთა განყოფილებები.

საპატიო დამღა

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სახელმწიფო საატესტაციო კომისიამ ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიანიჭა ზესტაფონის ხორცისა და რძის კომბინატის მიერ გამოშვებულ ორი სახეობის ძეხვს — ნახევრადშებოლილ „თბილისურ საიუბილეოს“ და „პოლტავურს“.

— ეს ჩვენი შრომის დიდი შეფასებაა, — თქვა საძეხვე საამქროს უფროსმა ოსტატმა შ. აბესალაშვილმა. — საპატიო ხუთკუთხედიანი დამღა მიგვაჩნია ჩვენ. ეს ნიშანი ბრძოლაში და ყველაფერს ვიღონებთ მისი გაუმჯობესებისათვის.

კომბინატი წლის ბოლომდე 60 ტონაზე მეტ ხარისხიანშენიან ძეხვს მიაწვდის მომხმარებელს.

„ჯინსის“ ახალი მოდელები

ზესტაფონელ მკერავთა ნახელავს წინს ვერ დასდებ, აქაური მარკის მამაკაცის შარვალს მაკეთებენ. ამ ნახელავ-ფირმიანებს ეზოს ჭიშკარი შეეკეთო. მის მიერ გაშენებულ ბაღს თვალი გადავაკლეთ.

ნაკეცრცხლებიანი ღუნის ბროწეულის ყვავილი, ვაზის ლერწები ეიგოს შემოხვეია, მწვანე ფოლოს ფიცრებიანი საკალთებიდან მოჩანს ჭურვები, ამფორები, დოქები. კენწეროთ მოფენილ რუს ნაპირზე ყვავილნარია ატმის, თუთის, ქლიავის, ვაშლის ტოტებს შორის ხვიარა ვარდი აცოცებული, სურო ხასხასებს.

პატარა ბაღში ყველაფერს თავისი კუთვნილი ადგილი აქვს მიჩნეული. თინათინი ქეშმარიტი მხატვრის ოსტატობით ერთმანეთს უხამებს, გასუმერებელ ფონს უქმნის ყოველ ყვავილს. ეს არის მთლიანი ჰარმონია, უაღრესად ფაქიზი, შთაგონებით და სიყვარულით მოწყობილი ყვავილთა ექსპოზიცია.

თინათინს ბავშვობიდან დაჰყვა ბუნების სიყვარული. მისი მეზობელი თედო ელისტრატოვი თურმე ადრე ბოტანიკურ ბაღში მეყვავილე-დეკორატორად მუშაობდა. მასთან მეგობრობდა ყვავილების ჯადოქარი მიხეილ მამულაშვილი. ეუურებდა ხოლმე პატარა თინათინი, როგორი რუდუნებით ქმნიდნენ ისინი ბაღში დეკორატიულ კუთხეებს... გამოხდა ხანი, მერე მოსკოვში სამხატვრო აკადემიის დეკორატიული მებაღეობის ფაკულტეტზე ლექციებს უსმენდა, შემდეგ კი თავისთავად მოვიდა საკუთარი შთაგონება და მის მიერ შექმნილი ყვავილთა დეკორაციები. რომლებსაც შედან ქართული კოლორიტი ამშვენებდა, მოიწონეს და ფრიად ღირსეულადაც შეაფასეს მოსკოვში, პატიგორსკში, თბილისში გამართულ ყვავილთა დღესასწაულებზე. მერე მრავალი სიგელი და დიპლომით დაჯილდოდა, ეროვნული მაღლობის სიტყვა და გულთბილი ბარათი მიიღო მოსკოვიდან, ტაშკენტიდან, მას შემოქმედებითი კონტაქტები აქვს იაპონიის „იკებანას“ სკოლის ცნობილ პედაგოგთან ტ. კოფისთან, ამერიკელ დეკორატორთან ნ. სფერსთან, მეყვავილე ი. კლემენტთან (ქალაქი ჩელსი), ბულგარელ მ. ნორტთან...

თინათინ ხარაძე იმ დღესაც ჩვენი მუყაოთბით დაფუსფუსებდა ბაღში, ქმნიდა ყვავილთა ახალ კომპოზიციებს, ხავსის ხალიჩას აგებდა — ყოველდღე თუ არ მოვუარე თითო ყვავილს, მოიწყენს, მიწას უნდა გაფხვიერება, ხან შემხმარ ტოტებს მოცილება, ერთი სიტყვით, უსიყვარულოდ და უყურადღებოდ ვერაფერ მცენარე ხარობს — ვეუბნები თინათინი.

ოდითგან საქართველო ყვავილების ქვეყანა იყო. დალოცვილი ბუნება გვაქვს, ჩინეთელი კლიმატი. აი თითოეულმა ოჯახმა თავისი წილი ხე და ყვავილი რომ გაახაროს, მაშინ ჩვენი ქვეყანა მართლაც ბაღნარად გადაიქცევა. ვფიქრობ ხოლმე, რა კარგი იქნებოდა, ზამთარში სათბურებში მარტო მიხაკი და ვარდი კი არ გამოგვეყვანა, არამედ იასამანიც, ბრონშინიც, ტიტაც, იებიც... განა ჩინეთში არ იქნებოდა, რომ ყვავილთა მოყვარულთათვის მაღაზიებში იყიდებოდეს ბაღის მოსავლელი ინვენტარი, ქიმიკატების შესასხურებელი აპარატი, ნერგები, ყვავილთა თესლი, თანაც მცოდნე კონსულტანტები რჩევას ძღვევდნენ ხოლმე მოყვარულ მეყვავილეებს? დავამშვენოთ ჩვენი სახლის აივნები, ეზოები ყვავილებით, ვისწავლოთ დეკორატიული კუთხეების გაკეთება, ბავშვებს ამითავითვე ჩაუნერგოთ ყვავილების სიყვარული, ბუნებისადმი სწრაფვა. ეს გაიფაქიზებს ნორჩების ხულს, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

ყოველ სწავლებაში, საამქროში უმაღლეს ხასწავლებელში, სკოლაში, დაწესებულებაში რაც მეტი ყვავილი ან ხე დაირგება, მით უფრო მეტ სარგებლობას მოგვიტანს. ეგრეთ წოდებული „მწვანე ფილტვები“ ჰაერს ასუფთავებს.

... ამბობენ, ვარდის სამშობლო ბაბილონიაო, ძველ საბერძნეთში თაყვანს სცემდნენ მიხაკებს, გიაცინტებს, ჰოლანდიაში ყვავილთა დედოფალი ტიტა, ინგლისის ეროვნულ ემბლემას ველური ია-კილის ყვავილი ამშვენებს. იაპონელები ხრიზანტელებს ეთაყვანებიან. ჩინეთის ძველ სამეფო ბიბლიოთეკაში ვარდის კულტურისადმი მიძღვნილი 500 ტომი ინახება...

ეფურცლავთ შთაბეჭდილებათა წიგნს. ვის ხანაწერებს არ შეხვდებით აქ. სამართლიანად აქებენ თინათინის ხელოვნებას, ერთი „ბრილ მინდიასაც“ კი უწოდებს. სხვები წერენ, რომ თუ აქამდე მცხეთაში გვიხდებოდა ჩასვლა მამულაშვილის ბაღის სანახავად, ახლა თბილისქალაქშიც გვაქვს არანაკლები ბაღი, რომელიც დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მნახველს.

თინათინ ხარაძე აჩქამად მუშაობს მხატვრულ ალბომზე, რომელშიც შევა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოდან მხატვარი-დეკორატორები მეყვავილეობის დარგში.

ვემშვიდობებით „ბარის მინდიას“ და მოგვყვება გრძნობა დიდი პატივისცემისა, რადგან ასეთი ადამიანები კიდევ უფრო ამშვენებენ ჩვენს ცხოვრებას.

ნ. ჯაფარიძე.

 სურათებზე: თინათინ ხარაძის ბაღში.

ხ. კილაძის ფოტო.

ახალი ეროსავლის ქონსერვები—სუფრას

რესპუბლიკის საკონსერვო საწარმოებმა დაიწყეს ახალი მოსავლის ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება. სეზონი ეკალამ და მწვანე ბარდამ გახსნეს. მათ მოჰყვება ჟიტრი, ტუმალი, პამიდორი, ალუბალი და ზაფხულის სხვა ბარაქა. სულ მომდინარე წელს 340 მილიონი ქილა კონსერვი დამზადდება, რაც 40 მილიონით მეტია, ვიდრე შარშან. საწარმოები გადამუშავებენ 340 ათას ტონას ხილსა და ბოსტნეულს.

— მომდინარე სეზონი განსაკუთრებით დაძაბული იქნება საკონსერვო ინდუსტრიისათვის, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს გიორგოლა „საქკონსერვის“ მმართველმა, გ. კეკენაძემ, — ხილისა და ბოსტნეულის დაგეიანებული დამწიფება გამოიწვევს ეგრეთ წოდებულ „პიკ“ პერიოდებს საკონსერვო ქარხნების მუშაობაში, როცა მიღებული ნედლეულის რაოდენობა აღემატება გადასამუშავებელი სიმძლავრეების შესაძლებლობებს. საკონსერვო საწარმოებში განხორციელებულია მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ნედლეულის სწრაფ და ხარისხიან გადამუშავებას.

მეტწილ დიდ ქარხნებში დადგეს დიდმწარმოებლური ხაზები, ავტომატები და აგრეგატები. ბაგალითად, მარნეულის ქარხანაში მწყობრში ჩადგა წვენების წარმოების რესპუბლიკაში პირველი ავტომატური ხაზი, სამტრედიის ქარხანაში — ჟიტრის გადასამუშავებელი მთლიანად მექანიზებული ხაზი. მცხეთის ქარხანაში მწყობრში ჩადგა წვენების ასეპტური კონსერვირების საამქრო, რომლის წლიური სიმძლავრეა 10 მილიონი ქილა.

მომდინარე სეზონში ნაწილობრივ გადაწყდება ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების დროს წარმოქმნილი მეორადი ნედლეულის გამოყენების საკითხი. ეს ნედლეული შეიცავს ბევრ საკვებ ნივთიერებასა და ვიტამინებს და შესაძლებელია მისი წარმატებით გამოყენება საკვებ და ფარმაცევტულ მრეწველობაში. ნედლეულის მეორადი გადამუშავების ხაზები დამონტაჟებულია მუხუმის, სამტრედიის, მახარაძის და გორის ქარხნებში. შემდგომში დასახულია ამშენდეს სპეციალური საამქროები დარგის ყველა დიდ საწარმოებში. (საქინფორმი).

გელათი განათდა

ქუთაისი. (საკ. კორ.). სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ინიციატივით მოეწყო ქართული ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი ძეგლის გელათის ტაძრის განათება, რომლის სამუშაოები განახორციელა „საქგანათბის“ კოლექტივმა.

გელათის კლასიკური არქიტექტურული ანსამბლის განათება განხორციელდა პროექტორებით. ეფექტი საუცხოო შთაბეჭდილებას ახდენს.

მუშაობაში თავი გამოიჩინეს „საქგანათბის“ ქუთაისის საექსპლოატაციო რაიონის, ელქსელის, „საქსოფფელექტრომშენის“ № 6 სპეციალური სამმართველოს, „საქკოსმშენის“ სპეციალური მექანიზებული კოლონის კოლექტივებმა, რომელთაგან დ. მაღლაკელიძე, შ. ტყვიშელაშვილი, ზ. ნიკარაძე და ა. ურაკაძე ხელმძღვანელობენ, სპეციალისტებმა ხ. სერდობიაევმა, რ. კურბანოვმა, ლ. დიმკავტოვმა, ნ. ქუთათელაძემ, ზ. გაბუნიამ.

დ. გედენიძე.

მსოფლიოს XI ჩემპიონატი ფეხბურთში

ეს ნლის შეეძლეგ...

ლანნიუნი. (საკ. კორ.). ორი ძმადაფიცი მეომარი — ვორონეჟელი გიორგი პიანინი და ქართველი გუგული მოქია გვერდიგვერდ იბრძოდნენ გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში. ერთ-ერთი სამარი ოპერაციის დროს მეომრებმა დაკარგეს ერთმანეთი და აი, 33 წლის შემდეგ, ლანნიუნის რაიონულმა გაზეთმა „კომუნისტურმა შრომამ“ გამოაქვეყნა გადამდგარი მაიორის გ. პიანინის წერილი. აი რას წერდა იგი:

„ნება მომეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით გამარჯვების დღე მივულოცო ჩემს თანაპოლკელს, მებრძოლ ამხანაგს, გუგული მიხეილის ძე მოქიას, რომელიც ამჟამად სოფელ ხუფსაში ცხოვრობს.

ვუსურვებ მას და მის ოჯახს ჯანმრთელობას, დიდ ბედნიერებას და წარმატებებს შრომაში ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ჩვენ ერთად ვიცავდით კავკასიის მიწას. 1945 წელს დავცილდით ერთმანეთს და ახლა, 33 წლის შემდეგ, მავკვლიე მის საცხოვრებელ ადგილს. იმედი მაქვს, წელს შეეხვდებით კიდეც ერთმანეთს“.

— როგორც იქნა, ვიპოვეთ ერთმანეთი, — გვითხრა გ. მოქიამ. — ჩემს ოჯახს ერთი ლვიძლი ძმა შეემატა. უსაზღვროა ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების სიხარული, ახლახან მე მივწერე ვორონეჟელ რუს ძმას გიორგი პეტრეს ძეს, რომ რაც შეიძლება მალე მეწვიოს სუფსაში, ისიც შემპირდა. ახე რომ, დღე-დღეზე მოველი ფრონტელი მეგობრის ჩამოსვლას.

ბ. ჩხაიძე.

შინმოუსვლელთა ოგელისკი

მაიკოპსკი. (საკ. კორ.). ხოფელ წითელჯვრის მარტო ერთი უბნიდან, რომელსაც დევიდების უბანს უწოდებენ, დიდ სამამულო ომში 36 ახალგაზრდა მონაწილეობდა, მათგან შინ ვერ დაბრუნდა 26. ამ სოფლის მკვიდრმა, ამჟამად თბილისის 2666 ფოტოკოლონის მთავარმა ინჟინერმა, ომის ინვალიდმა ი. დევიძემ კეთილშობილური საქმე თავად შინმოუსვლელთა ხსოვნის სადიდებლად ობელისკი დაიდგა. ამას წინათ ობელისკი საზეიმოდ გაიხსნა.

საბჭოთა ქრმია ალზრდის სკოლაკ

შვილი ჯარში მსახურობს

თბილისი. ნ. არეშიძეს და ვ. პაპალაშვილს

ძვირფასო ამხანაგებო! სამხედრო ნაწილის მეთაურთა შემადგენლობა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ თქვენი შვილი, გვარდიის ეფრეიტორი გიორგი პაპალაშვილი ნაწილის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლია და პირნათლად იხდის ხამხედრო მოვალეობას სამშობლოს წინაშე. გიორგიმ მოსვლის პირველი დღეებიდანვე ყურადღება მიიქცია შრომისმოყვარეობით, დისციპლინით, თავმდაბლობით. იგი ხსებებთან ერთად ჩაბმული იყო ხაბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია ხაბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

ნადიქდა ნესტორის ასულო! ჩვენ გავიგეთ, რომ თქვენ დიდი ხამამულო ომის მონაწილე ყოფილხართ, ღირსეულად იცავდით ხამშობლოს გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მადლობას გიხდით ასეთი შვილის აღზრდისათვის. გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს ცხოვრებაში.

სამხედრო ნაწილის მეთაური — **ი. კოზლოვი**, მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში — **ვ. ოგიაკოვსკი.**

ახალქალაქის რაიონი, სოფელი კოთელია. ეფროსინე და ავთანდილ ზარიძეებს

საბჭოთა ხალხი ახალ-ახალ ჯარმატებებს აღწევს კომუნისტურ მშენებლობაში, ქვეყნის ხამეურნეო თუ კულტურულ ცხოვრებაში. ამ დიდ მონაპოვარს ხელოფოსაგან ხალმედოდ იცავს ხაბჭოთა არმია, რომელიც მტკიცედ დგას მშვიდობის ხალდარაჯოზე. ქვეყნის დამცველთა ამ დიდ ოჯახში შედის ჩვენი ხამხედრო ნაწილიც, სადაც თქვენი შვილი ჰამლეტი ხავალდებულო ხამხედრო ხამსახურს გადის. მან ნაწილში პატივასცემა და სიყვარული დაიმსახურა, ჩინებულად დაეუფლა ხამხედრო პროფესიას და არაერთი მადლობა დაიმსახურა. ისევე, როგორც ყველა ხამხედრო ნაწილში, ჩვენთანაც ფართოდ იყო გაშლილი ხაბჭოთა შეიარაღებულა ძალების მე-60 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. თქვენმა შვილმა აქაც თავი იხახელა.

ხამხედრო ნაწილის მეთაური — **გ. პალამარჩუკი**, მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში — **ი. ჩუმიჩკინი.**

ხსრ კავშირის თასზე

სამი შეხვედრა

გუშინ გაიმართა ფეხბურთში ხსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური ხვედრები. შედეგები ასეთია: „შახტიორი“-„ნეფთჩი“ 1:1, „დინამო“ (კ.)-„ზენიტი“ — 1:0, „დინამო“ (მ.)-„ტორპედო“ — 2:1.

კირველ ლიგაში

ამჯერად უიდბლოდ

გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა ხაკავშირო პირველობის მეთოთხმეტე ტურის ექვსი მატჩი. ქუთაისის „ტორპედომ“ ამჯერად ჯეროვანი მეტოქეობა ვერ გაუწია თავის მორიგ მოწინააღმდეგეს — გროზნოს „თერგს“. „ტორპედომ“ ეს მატჩი ხტუმრად წააგო ანგარიშით — 0:2.

დანარჩენი ხუთი შეხვედრა ასე დამთავრდა: „კუზბასი“ (კემეროვო)- „კარპატი“ (ლვოვი) — 2:0; „ურალმაში“ (სვერდლოვსკი)- „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — 3:0; „კრილია სოვეტოვი“ (უიბიშევი)-„ნისტრუ“ (კიშინიოვი) — 2:1; „აუბანი“ (კრასნოდარი)-„ხაკ (ოლესა) — 3:1; „პამირი“ (დუშანბე)-„ტავრია“ (სიმფეროპოლი) — 2:1.

დღეისათვის გათამაშებულ ცხრილში პირველ-მეორე ადგილებზე არიან „კრილია ხოვეტოვი“ და „აუბანი“ — 20-20 ქულა. ქუთაისის „ტორპედო“ 16 ქულით კვლავ მეხამე ადგილზეა.

ჭადრაკი

ვინ იქნება ჩემპიონი?

ქუთაისი. (ტელეფონით, „კომუნისტის“ სპეც. კორ.). საქართველოს ქალთა ჩემპიონატში გათამაშდა მეთხუთმეტე ტურის პარტიები. ამ ტურში ლ. ფაჩუაშვილმა დაამარცხა ნ. მელაშვილი, თ. მესხმა — ნ. მუსერიძე, ც. კობაიძემ — ჟ. შეყილაძე, ქ. მელაშვილმა — ლ. ბეკლოზიოროვა, მ. თანდაშვილმა — ნ. გოგია, მ. წერეთელმა — ნ. ომნაძე, ც. კახაბრიშვილმა — ი. აბზიანიძე, დაზავდნენ ხ. გურგენიძე და მ. ჭიტარაძე.

გადაიდო თ. ხუგაშვილისა და ც. ქასაშვილის პარტია. ამავე დღეს მოეწყო ამ შეხვედრის დამთავრება, თ. ხუგაშვილმა პოზიციური უპირატესობა ვერ გამოიყენა და ყაიმს დასჯერდა.

თხუთმეტი ტურის შემდეგ 12,5 ქულით ლიდერობენ თ. ხუგაშვილი და მ. წერეთელი, ც. კობაიძეს, ც. კახაბრიშვილს, თ. მესხს, დებს — ქ. და ნ. მელაშვილებს 10,5-10,5 ქულა აქვთ.

ლ. ფაჩუაშვილი.

ჭიდაობა

ბოლო რეპეტიცია

ზაპოროჟიეში 8 ივნისს იწყება სსრ კავშირის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ამ დიდ ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს 20 საუკეთესო მოჭიდავე. მათ შორის იქნებიან ევროპის წლევანდელ ჩემპიონატში გამარჯვებული ე. ბლაგიძე (52 კგ.), სსრ კავშირის შაშანდელი ჩემპიონები რ. აბრამიშვილი (62 კგ.), ი. ბერიშვილი (82 კგ.), ე. ბოგლიჩიძე (90 კგ.), სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატები მ. ლეკაკა და ი. აფხაზავა (ორივე—82 კგ.), 1976 წლის სსრ კავშირის ჩემპიონი მ. სალაძე (100 კგ.), სხვადასხვა წლების სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონები შ. მორჩილაძე და ა. მაისურაძე (ორივე — მძიმე წონა). ზაპოროჟიეში გადაწყდება თუ ვინ მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატის (გაიმართება სეტემბერში) სიგზურებს. ამრიგად, საბჭოთა ათლეტებისთვის ზაპოროჟიე ასპარეზობა ბოლო რეპეტიცია იქნება.

რიწის ტბის მახლობლად

აფხაზეთში რიწის ტბის მახლობლად მდინარე იუფშარასა და გეგაზა ხეობაში დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი კლდეზე ხარტულ ცოცვაში.

ეაეთა შორის საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი გაჭდა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და საბჭოთა კავშირის პრიზიორი სპორტის ოსტატი ლადო გურჩიანი. (თბილისი). ქალთა შორის საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა სპორტის ოსტატმა, შარშანდელ სეზონში გამარჯვებულმა თამარ ჭიტაშვილმა (თბილისი).

გუნდურ ასპარეზობაში ყველას აჯობა თბილისის პირველმა ნაკრებმა. მეორე ადგილზეა მესტიის I გუნდი, მესამეზე — თბილისის II კოლექტივი.

წლევანდელი ჩემპიონატი კარგად იყო ორგანიზებული.

დ. გოზალიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ბ. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი
(აკ. წერეთლის გამზ. № 2).
11 ივნისი

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე
„დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი)
დასაწყისი 19 საათზე.

ორგანიზაციებზე ბილეთები გაიყიდება 8 და 9 ივნისს დილის 10 საათიდან. სიერთო გაყიდვა 11 ივნისს დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის ხალაროებში.

ᲗᲘᲕᲘᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲠᲮᲘ — „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ“ — ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲡᲐᲣᲜᲣᲜᲓᲘ ᲨᲕᲘᲪᲐᲠᲘᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ — ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ, 19.00 — „ᲛᲝᲛᲐᲚᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲜ“, 19.30 — „ᲛᲝᲛᲐᲛᲑᲔ“ — ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝᲜ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ (ᲤᲘᲠᲐᲓᲘᲝ), 20.00 — ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ, 21.45 — ᲡᲐᲠᲢᲐᲨᲝᲠᲘᲡᲘᲡ ᲓᲦᲔᲣᲠᲘ, 22.00 — „ᲕᲘᲠᲯᲘᲜᲘᲐ“ — ᲮᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝᲜ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ), 22.30 — ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲡ ᲖᲔᲛᲘᲗ ᲛᲘᲗᲮᲐᲠᲘᲡᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲤᲘᲚᲛᲘ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

18.00 — ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ — ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ, 18.30 — ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝᲠ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲡᲐᲣᲜᲣᲜᲓᲘ ᲨᲕᲘᲪᲐᲠᲘᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ (ᲤᲘᲠᲐᲓᲘᲝ), 18.50 — ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐᲗᲕᲘᲡ — ᲛᲘᲭᲐᲜᲝᲖᲛᲘᲡᲗᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ, 19.35 — ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲬᲐᲠᲬᲐᲠᲜᲐ“, I ᲡᲣᲠᲘᲡ I ᲜᲐᲬᲘᲚᲘ (ᲤᲘᲠᲐᲓᲘᲝ), 21.00 — ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲛᲘᲚᲔᲑᲘ“.

ᲗᲘᲕᲘᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

06.15 — გადაცემათა პროგრამა, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — „ჩვენი მთა-ბარის ჯანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — ამინდის ბიუროს ცნობა, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.00 — გაზეთი „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — კამერული მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — გ. ციციშვილი. სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — ბ. ასაფიევი. ბალეტი „ბახჩისარაის შადრევანი“. ნაწყვეტები, 11.40 — „სახალხო ღვინასწაული გარეჯში“, 12.15 — ბ. სმეტანა სიმფონიური პოემა „ელტავი“, 12.30 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.55 — გადაცემათა პროგრამა, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები“ (მოსკოვიდან), 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.45 — ამინდის ბიუროს ცნობა, 14.00 — მუსიკალური რადიოკომპოზიცია „დაუვიწყარი“, 15.00 — „მეგობართა ხმები“. გადაცემა სოციალისტური ქვეყნებიდან, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება — თბილისის მერი მუსიკალური ხასწავლებლის მოსწავლეთა კონცერტი, 17.40 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „მოდალატის ღედა“, 18.10 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება (კონცერტი), 19.00 — „მოამბე საბჭოთა რესპუბლიკებში“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — „მსოფლიო ბიბლიოთეკა“. ვეიამბოს ი. ანდრონიკოვი (მოსკოვიდან), 20.30 — „მეცნიერება და ტექნიკა“. რადიოჟურნალი, 21.00 — „ძველსპირული“, 21.40 — კონცერტი ს. ნასიძის ნაწარმოებიდან, 22.50 — „ხვალ — რადიოთი“, 23.30 — საოპერეტო მუსიკის კონცერტი.

8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

ᲤᲐᲚᲐᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ — ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲘᲓᲘᲜᲐᲪᲕᲐᲚᲘ; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ — ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲓᲘᲓᲘᲜᲐᲪᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ — ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, ᲡᲙᲙᲐ ᲬᲔᲕᲠᲘ 1939 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ, ᲠᲐᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲙᲘ, ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ,